საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/138

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" (2023 წლის მიღება) საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 17 მაისის N01-08/428 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის) 2023 წლის 18 ივლისის N897464 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"** შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის), კომისიის წევრი;

გ) მამუკა თურმანიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მაგისტრი მცენარეთა დაცვაში, აგრონომი, მცენარეთა დამცველი; The USAID Agriculture Program/CNFA-Georgia ექსპერტი/კონსულტანტი სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით, აჭარის ავტონომიური რესბუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;

დ) გიორგი მახარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის აგრარული ექსტენციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, პროფესიული განათლების

მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განმახორციელებელი პირი;

ე) **ჯიმშერ დიასამიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;

2. კომისიამ იხელმძღვანელოს **„ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანებით,** მსმენელების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2023 წლის 28 ივლისს, დღის **12:00** საათიდან **17:00** საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „რექტორის აქტები“ და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი”).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**